შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3
მუხლი 2. რეგულირების მიზანი 3
მუხლი 3. შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლებამოსილება 3
მუხლი 4. შეფასების გასაჩივრების ვადა 3
მუხლი 5. საჩივრის შინაარსი და დასაბუთების ვალდებულება 4
მუხლი 6. საჩივრის განმხილველი ორგანო და მისი უფლებამოსილებანი 4
მუხლი 7. საჩივრის განხილვის ვადა 5
მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღების წესი 5
მუხლი 9. საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილება 6
მუხლი 10. საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი 7

მუხლი 1. ზოგადი დებულელებები

1. ეს წესი ადგენს ვებსტერ უნივერსიტეტი, ინკ.-ის ფილიალი საქართველოში (შემდგომში - ფილიალი) საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიხული სტუდენტების მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესს.
2. ეს წესი შემუშავებულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების, სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების და ფილიალის წესდების შესაბამისად.

მუხლი 2. რეგულირების მიზანი

ამ წესის მიზანია ფილიალში სტუდენტის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველყოფა და შეფასებების გასაჩივრების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.

მუხლი 3. შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლებამოსილება

სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების თითოეულ კომპონენტში/სასწავლო კურსში მიღებული შეფასების შედეგები.

მუხლი 4. შეფასების გასაჩივრების ვადა

სტუდენტი უფლებამოსილია შეფასება გაასაჩივროს შეფასების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში.

მუხლი 5. საჩივრის შინაარსი და დასაბუთების ვალდებულება

1. შეფასების გასაჩივრების მიზნით, სტუდენტმა წარადგენს საჩივარს, რომელშიც მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის/სასწავლო კურსის დასახელება და შეფასების კომპონენტი, რომელში მიღებულ შეფასებასაც ასაჩივრებს სტუდენტი;

ბ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის სახელი და გვარი, რომლის შეფასებასაც ასაჩივრებს სტუდენტი;

გ) საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;

დ) მოთხოვნა;

ე) არგუმენტები, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;

ვ) საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

2. სტუდენტი ვალდებულია დაასაბუთოს საჩივარი, სადაც აღინიშნება ის არგუმენტები, რომლის საფუძველზეც სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას.

მუხლი 6. საჩივრის განმხილველი ორგანო და მისი უფლებამოსილებანი

1. სტუდენტის საჩივარს განიხილავს საპრეტენზიო საბჭო, რომლის შემადგენლობასაც ამტკიცებს რექტორი.

2. საპრეტენზიო საბჭო სტუდენტის საჩივარს გადასცემს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელს/ლექტორს, რომელმაც განახორციელა პირველადი შეფასება და რომელიც ვალდებულია სტუდენტის საჩივრის მიღებიდან 3 დღის ვადაში საპტერენზიო საბჭოს წარუდგინოს თავისი დასაბუთებული მოსაზრება სტუდენტის საჩივარში მითითებული გარემოებებისა და მოთხოვნის შესახებ.

3. საპრეტენზიო საბჭო უფლებამოსილია შეფასების შედეგების განხილვის მიზნით მოიწვიოს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი/ლექტორი, რომელმაც

განახორციელა პირველადი შეფასება და მოისმინოს მისი უკუკავშირი და შეფასების დასაბუთება.

4. საპრეტენზიო საბჭო უფლებამოსილია შეფასების შედეგების განხილვის მიზნით მოიწვიოს შესაბამისი დარგის/მიმართულების/საგნის ფილიალის სხვა აკადემიური პერსონალი/ლექტორი და მოისმინოს მისი უკუკავშირი პირველად შეფასებასთან დაკავშირებით.

5. საჩივრის დაზუსტების მიზნით, საპრეტენზიო საბჭო უფლებამოსილია მოისმინოს საჩივრის წარმდგენი სტუდენტის მოსაზრებები.

მუხლი 7. საჩივრის განხილვის ვადა

1. საპრეტენზიო საბჭო სტუდენტის მიერ წარდგენილ საჩივარს განიხილავს საჩივრის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში.

2. განსაკუთრებულ შემთხვევებში, საპრეტენზიო საბჭო უფლებამოსილია საჩივრის განხილვის ვადა გააგრძელოს არაუმეტეს 5 დღით.

მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საპრეტენზიო საბჭოს სხდომას წარმართავს საპრეტენზიო საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც უზრუნველყოფს საკითხის სრულ და ყოველმხრივ გამოკვლევას.

2. საპრეტენზიო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საპრეტენზიო საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. საპრეტენზიო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

4. საპრეტენზიო საბჭოს სხდომის შესახებ ფორმდება ოქმი, რომლის გაფორმებასაც უზრუნველყოფს საბჭოს მდივანი.

5. ოქმს ხელს აწერს საპრეტენზიო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 9. საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილება

1. საპრეტენზიო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) აკადემიური პერსონალისთვის/ლექტორისთვის ხელახალი შეფასების განხორციელების დავალების შესახებ;

დ) სტუდენტისთვის განსაზღვრული შეფასების დაკლების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საპრეტენზიო საბჭო იღებს, თუ საჩივარი დასაბუთებულია და პირველად შეფასებაში დაშვებულია აშკარა მატერიალური/შინაარსობრივი შეცდომა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საპრეტენზიო საბჭო იღებს, თუ საჩივარი დაუსაბუთებელია და პირველად შეფასებაში დაშვებული არ არის არსებითი ხასიათის მატერიალური/შინაარსობრივი შეცდომა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საპრეტენზიო საბჭო იღებს, თუ პირველადი შეფასების განხორციელების დროს დაშვებულია შეცდომა საგამოცდო პროცედურაში ან/და აკადემიურ პერსონალს/ლექტორს პირველად შეფასებაში დაშვებული აქვს ისეთი ხასიათის მატერიალური/შინაარსობრივი შეცდომა, რომელიც მოითხოვს შეფასების პროცედურის ხელახლა განხორციელებას.

5. საპრეტენზიო საბჭო უფლებამოსილია გასცდეს სტუდენტის საჩივრის მოთხოვნას, შეამოწმოს პირველადი შეფასება სრულად, აგრეთვე, მიიღოს ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება, თუ აშკარაა, რომ სტუდენტის ნაშრომი იმსახურებდა უფრო ნაკლებ შეფასებას, ვიდრე ეს განისაზღვრა პირველადი შეფასებით.

6. საპრეტენზიო საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.

მუხლი 10. საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.